საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-10/74

ქ. ბათუმი 20 ივნისი, 2023 წელი

ბსუ-ს სარგებლობაში არსებული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობებში (კორპუსებში), ავტომატური სავაჭრო აპარატების დასადგმელად, ფართის იჯარით სარგებლობისათვის ქირისა და პირობებიანი ელექტრონული აუქციონის პირობების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის, ,,სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 5 მაისის №103 ბრძანების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში მყოფი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობებში (კორპუსებში), ავტომატური სავაჭრო აპარატების დასადგმელად ფართის იჯარის ფორმით გაცემაზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 27 აპრილის №07-01/20 გადაწყვეტილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 13 ივნისის №685490, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 03 მაისის №13/24541 და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2023 წლის 18 მაისის №01-01–10/2540 თანხმობის წერილების და საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 19 ივნისის №716983 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გაიცეს იჯარით, **ორი წლის ვადით,** საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართები **ხსნადი ყავის და ავტომატური სავაჭრო აპარატების** დასადგმელად, პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით შემდეგ მისამართებზე:
   ა) **ბსუ-ს №1 კორპუსის მე-2 სართულის დერეფანში** (მდებარე ქ. ბათუმში, რუსთაველი/ნინოშვილის ქ. №32/35, ს.კ. №05.23.03.004, მესაკუთრე სახელმწიფო), **3 კვ.მ. ფართი** - ერთი ხსნადი ყავის და ერთი ავტომატური სავაჭრო აპარატის დასადგმელად;
   ბ) **ბსუ-ს №1 კორპუსის მე-3 სართულზე** ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში (მდებარე ქ. ბათუმში, რუსთაველი/ნინოშვილის ქ. №32/35, ს.კ. №05.23.03.004, მესაკუთრე

სახელმწიფო), **3 კვ.მ. ფართი** - ერთი ხსნადი ყავის და ერთი ავტომატური სავაჭრო აპარატის დასადგმელად;

გ) **ბსუ-ს №2 კორპუსის მე-2 სართულის დერეფანში** (მდებარე ქ. ბათუმში, რუსთაველი/ნინოშვილის ქ. №32/35, ს.კ. №05.23.03.004, მესაკუთრე სახელმწიფო), **3 კვ.მ. ფართი** - ერთი ხსნადი ყავის და ერთი ავტომატური სავაჭრო აპარატის დასადგმელად;

დ) **ბსუ-ს №2 კორპუსის მე-4 სართულის დერეფნებში** (მდებარე ქ. ბათუმში, რუსთაველი/ნინოშვილის ქ. №32/35, ს.კ. №05.23.03.004, მესაკუთრე სახელმწიფო), **3 კვ.მ. ფართი** - ერთი ხსნადი ყავის და ერთი ავტომატური სავაჭრო აპარატის დასადგმელად;

ე) **ბსუ-ს №4 კორპუსის პირველი სართულის დერეფანში** (მდებარე ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ. №12, ს.კ. №05.24.05.189, მესაკუთრე აჭარის ა.რ.), **3 კვ.მ. ფართი** - ერთი ხსნადი ყავის და ერთი ავტომატური სავაჭრო აპარატის დასადგმელად;

დ) **ბსუ-ს №6 კორპუსის მეორე სართულის დერეფანში** (პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი, მდებარე ქ. ბათუმში, ლეონიძის ქ. №15, ს.კ. №05.25.12.026, მესაკუთრე აჭარის ა.რ.), **3 კვ.მ. ფართი** - ერთი ხსნადი ყავის და ერთი ავტომატური სავაჭრო აპარატის დასადგმელად.

2. საწყისი წლიური საიჯარო ქირა დღგ-ის და კომუნალური გადასახადების ჩათვლით განისაზღვროს **10 200 (ათიათას ორასი) ლარის ოდენობით.**
3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე განისაზღვროს 2550 (ორიათას ხუთას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, ხოლო ბიჯი - 120 (ას ოცი) ლარის ოდენობით.
4. იჯარით სარგებლობაში გაცემის **ელექტრონული აუქციონის პირობად განისაზღვროს:**

ა) იჯარით აღებულ ფართში (სულ 18 კვ.მ) წყვილ–წყვილად (1 ყავის და 1 სავაჭრო 3 კვ.მ–ზე) უნდა განლაგდეს ავტომატური აპარატები, საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2023 წლის 01 სექტემბრისა. იჯარის თანხა მოიცავს დღგ-ს, ელექტროენერგიისა და სხვა კომუნალურ გადასახადებს;

ბ) მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს ეკოლოგიური, სანიტარულ–ჰიგიენური და ხანძარსაწინააღმდეგო პირობების/ნორმების დაცვა;

გ) საიჯარო ქირის გადახდა იწარმოებს ყოველთვიურად, თანაბარწილად, არაუგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა;

დ) მოიჯარეს შეტანილი ბე ჩაეთვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის ოდენობაში საბოლოო ანგარიშსწორებისას;

ე) მოიჯარე ვალდებულია დაფაროს ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯები;

ვ) იჯარით სარგებლობაში გაცემის **ვადა - 2 წელი;**

ზ) მეიჯარე უფლებამოსილია ყოველგვარი კომპენსაციებისა და ჯარიმის გარეშე ვადამდე გააუქმოს (ვადაზე ადრე შეწყვიტოს) საიჯარო ხელშეკრულება:

- უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების (არანაკლებ 2 ფაკულტეტის საბჭო, 2 ბსუ-ს სხვა სტრუქტურული ერთეული და სტუდენტური თვითმართველობა) მოტივირებული მოთხოვნის შემთხვევაში, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე;

- სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ან/და აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში;
- საიჯარო ქირის 2 თვის დავალიანების შემთხვევაში.

5. ელექტრონული აუქციონი გამოცხადდეს 2023 წლის 21 ივნისს და დასრულდეს 2023 წლის 28 ივნისს (განცხადება აუქციონის თაობაზე განთავსდეს 2023 წლის 20 ივნისს).
6. დაევალოს უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს უზრუნველყოს აუქციონის გამოცხადება კანონმდებლობით დადგენილი ფორმით ვებგვერდზე - www.eauction.ge.
7. დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების და აუქციონის შესახებ ბსუ-ს განცხადების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
8. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის აპარატს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ დიასამიძე